ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3097359

ნომერი: AR1477239

თარიღი : 08.02.2017

გაცემის თარიღი : 20.02.2017

გაცნობის თარიღი : 20.02.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ონიაშვილი , N 28 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნიკა მერაბიშვილი პ/ნ 01017039677
- თბილისი მ.ქანთარიას ქ. N 12 ბ. 16

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი AR1477239 (08.02.2016) განცხადების პასუხად, სადაც ითხოვთ ქ. თბილისში, ონიაშვილის ქ. N28–ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის განაშენიანების ინტენსივობის კ2=4.5-მდე გაზრდას, გაცნობებთ: კანდელაკის, ბუდაპეშტის, ისაკაძის, ოდიშელიძის, გაგარინისა და მგალობლიშვილის ქუჩებს შორის მოქცეული გეგმარებითი ერთეულის სამშენებლო განვითარებისთვის ჩატარდა წინა საპროექტო კვლევა, რომლის მიხედვითაც დადგინდა ამ და მიმდებარე ტერიტორიაზე მიწის ნაკვეთებისათვის ქალაქმშენებლობითი პარამეტრების მომატების და შენობა–ნაგებობების სიმაღლეების განსაზღვრის საკითხები. აღნიშნული წინა საპროექტო კვლევა განხილულ იქნა "ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს" 2015 წლის 26 მარტის #14 სხდომაზე, სადაც გადაწყდა დადებითად.
თქვენს დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ზემოაღნიშნული კვლევის ფარგლებში ვრცელდება საცხოვრებელი ზონა–6 (სზ–6), სადაც შესაბამისად დასაშვები განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის კ2–ის მაჩვენებელი შესაძლებელია გაიზარდოს მხოლოდ 3.2–მდე. იმისათვის, რომ სამსახურმა შესძლოს საკითხის განხილვა, წარმოდგენილ უნდა იქნეს განახლებული დოკუმენტაცია ზემოაღნიშნული კვლევით დასაშველი ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების ფარგლებში, რის შემდგომაც საკითხს განიხილავს ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭო.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის შესაბამისად თქვენ გეძლევათ განაცხადის გამოგზავნიდან 30 დღიანი ვადა მოთხოვნილი დოკუმენტის წარმოსადგენად. თუ განმცხადებლის მიერ დანიშნულ ვადაში არ იქნება წარმოადგენილი მოთხოვნილი დოკუმენტაცია საკითხი დარჩეს განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.